



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



გიორგი ახვლედიანის სახელობის  
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადებიდან  
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

**სამეცნიერო კონფერენცია**



**პროგრამა და თეზისები**

14 აპრილი

თბილისი

2016

## სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები:



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების  
ისტორიის საზოგადოება

### რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე - 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე - 15 წუთი

დისკუსია - 5 წუთი

სამუშაო ენა: ქართული

14 აპრილი

თბილისი

2016

10.30 – 11.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 107-ე აუდიტორია)

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

11.00 – 12.30

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 107-ე აუდიტორია)

აკადემიკოს მზექალა შანიძის შეხვედრა სტუდენტებთან

„ცხოვრების გზა“

12.30 – 13.00

ფურშეტი

13.00 -14.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 107-ე აუდიტორია)

კონფერენციის გახსნა

მისალმება - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის  
მოვალეობის შემსრულებელი - პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

## პლენარული სხდომა

### სხდომის თავმჯდომარე - პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

1. დარეჯან თვალთვაძე - ფსალმუნთა თარგმანების „თავისა და ბოლოდასა ანდერძები“
2. რამაზ ქურდაძე - ამ სუფიქსის მნიშვნელობისათვის ქართულ ტოპონიმებში
3. თინათინ ბოლქვაძე - ბიბლიური მითები და ლინგვისტური თეორიები

14.00 -16.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

### I სექცია

#### სექციის თავმჯდომარე - ემერიტუს პროფესორი დამანა მელიქიშვილი

1. ანა ხარანაული - ძველი აღთქმის ე.წ. არაკანონიკური წიგნების ტექსტუალური ტიპები და ქართული თარგმანები
2. ლია ქაროსანიძე - "ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის" მნიშვნელობისათვის
3. მათა ღამბაშიძე, მანანა ჭირაქაძე - წმიდა მამა იოვანე ჭყონდიდელის პიროვნების შესახებ
4. დამანა მელიქიშვილი - კვლავ პროკლეს „კავშირთა“ იოანე პეტრიწისეული განმარტების „ბოლო სიტყვაობის“ ავთენტურობისა და შედგენილობისათვის
5. ნათია მიროტაძე - დიპლომატიური გამოცემა – ტექსტოლოგიური აისბერგი (H-1337-ის მაგალითზე)
6. ანა მაისურაძე - A (H-1207) K (ქუთ. 28)-ს თავისებურებები “რიცხვთაში”

14.00 -16.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია)

## II სექცია

სექციის თავმჯდომარე - პროფესორი რამაზ ქურდაძე

1. მაია ლომია - მორფოლოგიურ ომოფორმათა განსხვავების სინტაქსური საფუძველი მეგრულში
2. რუსუდან ზექალაშვილი - ზმნურ ფორმათა უნიფიკაციის ზოგიერთი შემთხვევა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში
3. იზა ჩანტლაძე - კვლავ სახელთა აუსლაუტის პრობლემისათვის სვანურ ენაში
4. ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე - ფერეიდნული დიალექტის შიდაენობრივი დიფერენციაციისათვის (ისტორიული და ლინგვისტური ასპექტები)
5. ქეთევან მარგიანი - სუბარი - ჟი, ჩუ, სგა, ქა ელემენტების მორფოსინტაქსური ანალიზისათვის სვანურში
6. ნათია ფუტკარაძე - დიათეზათა მორფო-სინტაქსური კატეგორია მეგრულში

16.00 -18.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია)

## III სექცია

სექციის თავმჯდომარე - ასოც. პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი

1. ნელი უგრეხელიძე - გარდამავალი პერიოდის ქართული ენის დახასიათება მე-18 საუკუნის ხელნაწერების მიხედვით
2. რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი - დამწერლობის ისტორიული განვითარების ასახვა იაკობ გოგებაშვილის “დედაენაში”
3. მარინა ანდრაზაშვილი - გერმანული ენის გრამატიკა ქართულენოვანი გერმანისტებისთვის – თეორიული წინამძღვრები და აგების კრიტერიუმები
4. ნატალია ბასილაია - სასწავლო კურსი აკადემიური წერა

5. სალომე ოშიაძე - პერსონიფიკაციით შეპირობებული ლექსიკურ-გრამატიკული ძვრები
6. თინათინ ჯიქურაშვილი - ბერძნული წინდებულების ეკვივალენტები ლევიტელთა წიგნის ოშკურ ვერსიაში

16.00 -18.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია)

#### IV სექცია

სექციის თავმჯდომარე - ასოც. პროფესორი თინათინ ბოლქვაძე

1. მარინა ბერიძე - ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი \_ სამეცნიერო ენის შესწავლისა და ლექსიკოგრაფირების ინსტრუმენტი
2. იგორ კეველია, ნანა სულავა - ჰაპლოლოგიისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში
3. ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია - ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებანი
4. ნიკოლოზ ოთინაშვილი - შიდა ქართლის წარწერების პალეოგრაფიულ-ენობრივი საკითხები (ზღუდერი, ერედვი)
5. ნაირა ბეპიევი - იონანე იალღუზიძე და ქართული მწერლობა
6. ნათია კენჭიაშვილი - ქართული სოციოლექტის ფუნქციონალური ანალიზი

მარინა ანდრაზაშვილი

*გერმანული ენის გრამატიკა* ქართულენოვანი

გერმანისტებისთვის – თეორიული წანამძღვრები და აგების

კრიტერიუმები

წინამდებარე *გერმანული ენის გრამატიკის ოთხტომეული* ([press.tsu.ge](http://press.tsu.ge)) არის ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც თანმიმდევრულად აღწერს თანამედროვე გერმანული სალიტერატურო ენის სისტემასა და მის ფუნქციონირებას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. ზოგად კანონზომიერებათა და სრულყოფილ ენობრივ ფორმათა პარალელურად წარმოაჩენს ასევე ენის ელიფსურ ფორმებს, პერიფერიულ მოვლენებს, გამონაკლის შემთხვევებს, გადახრა-ანომალიებს; განიხილავს პარალელურ ენობრივ საშუალებებს საკუთრივ ლინგვისტური და ლინგვოპრაგმატული პოზიციებიდან და მსჯელობს ტექსტში მათი რეალიზაციის შესახებ საკუთარ სტილურ მარკირებულობასა და საკომუნიკაციო დატვირთულობაზე დაყრდნობით.

ნაშრომი აგებულია კლასიკური გრამატიკის მოდელზე, *თეორიულ პლანში* ეფუძნება ვალენტობის, უშუალო შემადგენელთა, ფუნქციონალური და შინაარსზე ორიენტირებული გრამატიკების ტრადიციებს, საჭიროებისამებრ იყენებს ასევე გენერატიული გრამატიკის კვლევის ხერხებს. *მეთოდოლოგიურ პლანში* ნაშრომის საფუძველია კონტრასტული ლინგვისტიკა, კერძოდ, ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ენობრივი ინტერფერენციისა და ტრანსფერენციის მომენტები; თუმცა, ნაცვლად ორივე ენის პარალელურ ფენომენტთა სინქრონული აღწერისა, ის უპირატესობას ანიჭებს, ქართულ სააზროვნო წყობაზე დაყრდნობით, მოსალოდნელ შეცდომათა წინასწარი პროგნოზირებისა და მათ დასაძლევად მასალის ოპტიმალური დიდაქტიზირების ხერხს.

ნაშრომის *აგების ამოსავალი პრინციპებიდან* გამომდინარე – კერძოდ, რომ ის უნდა ქცეულიყო არაგერმანულ შემსწავლელთათვის უცხ-

ოური ენის შემეცნებისა, და არა მათ ხელთ უკვე არსებული პრაქტიკული ენობრივი ცოდნის პერფექცივაციის საშუალებად – ახსნის დესკრიპტიულ ფორმას გარკვეულწილად პრესკრიპტიულობის პრინციპს უქვემდებარებს, რითაც უზრუნველყოფს სწორი/სასურველი ენობრივი ფორმების გამიჯვნას არასწორი/ნაკლებსასურველისგან, შესაბამისად კი, მათ ადეკვატურ გამოყენებას.

მიუხედავად მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროთა მკაფიო გამიჯვნისა, ნაშრომი შეგნებულად მიმართავს მასალის მიწოდების მორფოსინტაქსურ პრინციპს, რაც შემსწავლელს ენობრივ მოვლენათა გლობალურ, ერთდროულად პარადიგმატულ და სინტაგმატურ განზომილებებში აღქმაში უნდა დაეხმაროს. საილუსტრაციოდ იყენებს ჟანრობრივად მრავალფეროვან ნიმუშებს, რომელნიც იმავდროულად სემანტიკურ პლანშიც გაჯერებულნი არიან ინფორმაციით გერმანიის კულტურული რეალიების შესახებ.

ნაშრომი პირველად გვთავაზობს ასევე სპეციფიკურ გერმანულ ლინგვისტურ ტერმინთა შესატყვის ქართულ ეკვივალენტებს, სანაცვლოდ ტრადიციული აღწერილობითი ფორმებისა, რითაც თვით ქართულ ლინგვისტურ მეტაენასაც ამდიდრებს.

## რუსულდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი

### დამწერლობის ისტორიული განვითარების ასახვა იაკობ გოგებაშვილის “დედაენაში”

*წერა* - მეტყველების გრაფიკული კოდირებაა, დამწერლობა - *სემიოტიკური* სისტემა, რომელიც არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში. *წერითი სისტემის* ყოველი ერთეული *ნიშანია* - *აღმნიშვნელი* არის გრაფიკული სუბსტანცია (resp. *გამოხატულების პლანი*), ხოლო *აღსანიშნი* არის ის, რასაც ეს აღმნიშვნელი გამოხატავს, რასაც ის შეესატყვისება: *გარკვეული ცნება, იდეა, რიცხვი, სიტყვა, მარცვალი ან ცალკეული ბგერა* (resp. *შინაარსის პლანი*).

შინაარსის პლანის მიხედვით, გამოიყოფა დამწერლობათა ორი ძირითადი ტიპი: *სემიოგრაფია* (*ანუ იდეოგრაფია*) და *ფონოგრაფია*.

*იდეოგრაფიული* ტიპის წერით სისტემაში ნიშნები არ გამოხატავენ კონკრეტული ენის ბგერით მხარეს, ისინი აღნიშნავენ ცნებებს. ფო-



ნოგრაფიულ წერით სისტემაში აღმნიშვნელები ასახავენ განსაზღვრული ენის ბგერით მხარეს: სიტყვის ჟღერადობას, მარცვალს, ბგერას.

სხვადასხვა წერით სისტემაში შინაარსის პლანის ერთეულები აღინიშნება განსხვავებული ტიპის გრაფიკული ნიშნებით, რომელთა ერთობლიობა (ნიშანთა თანმიმდევრობასთან, წერის მიმართულებასა და ნიშანთა სახელწოდებებთან ერთად) შეადგენს ამა თუ იმ წერითი სისტემის *გამოხატულების* პლანს. წერითი ნიშნები შეიძლება იყოს *იკონური*, ანუ გრაფიკულად “ჰავადეს” აღსანიშნი ცნებების შესატყვის რეალურ ობიექტებს (resp. *პიქტოგრაფია*), ან *პირობითად* იყოს დაკავშირებული სათანადო ცნებით კატეგორიებთან.

დამწერლობის ისტორიული განვითარება შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც პროცესი, რომელიც ანბანური დამწერლობის შექმნამდე თანმიმდევრულად გაივლის რამდენიმე ეტაპს: *პიქტოგრაფიულს* → *იდეოგრაფიულს* → *ლოგოგრამულს* → *სილაბურს* → *კონსონანტურს* → *ანბანურს*.

“დედაენის” შემქმნელი, იაკობ გოგებაშვილი, გასაოცარი ინტუიციის წყალობით მიჰყვება წერითი სისტემათა ცვლილებების ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპებს; კერძოდ, წერა-კითხვის სწავლის საწყის ეტაპზე, იაკობ გოგებაშვილი ყმაწვილებს თავდაპირველად სთავაზობს ნიშნის იკონურ გამოსახულებას, ნახატს, მაგალითად, “თითის გამოსახულებას”; შემდეგ იძლევა ერთიანად დაწერილ სიტყვას “თითი”, რაც, ფაქტობრივად, იდეოგრაფიული დამწერლობის მეორე ეტაპის პირობით გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს და ლოგოგრამის შინაარსს იძენს; ამის შემდეგ მოცემულია სილაბური წაკითხვა, ანუ დამარცვლილი “თი - თი”; ამ ეტაპზე ბავშვებში თავს იჩენს ე.წ. სილაბურ-კონსონანტური კითხვის პრინციპი - მათ უჭირთ “თი”, “თა” მარცვლოვანი გრაფიკული ნიშნების ხმოვნების მიხედვით დიფერენცირება; დაბოლოს, იძლევა ნიშნის ბგერით დონეზე დიფერენცირებას, რაც გრაფიკულად გამოცალკეებული ასო-ნიშნებით მიეწოდება ბავშვებს: “თ - ი - თ - ი”. მთელი ეს პროცესი აადვილებს ნიშნის აღქმის, გააზრებისა და დამახსოვრების პროცესს მოზარდებში.

მასალის მიწოდების ამგვარი მიდგომა, სხვა არაერთ მნიშვნელოვან ასპექტთან ერთად, გამოარჩევს იაკობ გოგებაშვილის “დედაენას” დღეს არსებული ანბანებისგან და უმკვიდრებს განსაკუთრებულ ადგილს წერა-კითხვის შემსწავლელ სახელმძღვანელოებს შორის.

## ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

### ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებანი

I. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი - ესაა გარემომცველი სინამდვილის კონცეპტუალური აღწერის ხერხი ფრაზეოლოგიის საშუალებებით. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი უნივერსალურია, იგი ახასიათებს ყველა ენას და უპირატესად იგი გადმოსცემს სამყაროს აღქმის ნაციონალურ თავისებურებებს.

II. ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოხატავენ ნაციონალურ რეალიებს:

1. ისტორიულ ფაქტებთან ან მოვლენებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები;

2. ხალხურ თქმულებებთან და გადმოცემებთან (ლეგენდებთან) დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები;

3. ფრანგი ხალხის ზნე-ჩვეულებებთან და ადათ-წესებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები; 4. ისტორიული ფრაზეებისა და ციტატების საფუძველზე წარმოშობილი ფრაზეოლოგიზმები;

5. ანეკდოტებთან ან ანეკდოტურ მოთხრობასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები;

6. ლიტერატურიდან, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურიდან წარმოქმნილი ფრაზეოლოგიზმები.

III. ფრაზეოლოგიზმები, როგორც მეორადი ნომინაციის ერთეულები, პირდაპირ კი არ ასახელებენ საგანს, არამედ ახასიათებენ მას გარკვეული ხატის საშუალებით, რომელიც აღიქმება ენის მატარებელთა მიერ საკუთარი კულტურის ცოდნის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციებით.

IV. ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ ხალხის თავისებურ „მიკროფოლკლორს“. ისინი ინარჩუნებენ და ასახავენ ერის მენტალიტეტსა და კულტურას. ფრაზეოლოგიზმებში კარგად ჩანს ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენელთა ხასიათის ნიშნები, ცხოვრების წესი და სამყაროს აღქმა. ფრაზეოლოგიზმის ხატოვანებას საფუძვლად უდევს არა სინამდვილის ერთეული ელემენტი, არამედ სამყაროს გარკვეული ფრაგმენტი. ფრაზეოლოგიური ერთეულები ფლობენ ინფორმაციას სამყაროსა და სოციუმის შესახებ.

V. ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა, როგორც ისეთი ერთეულებისა, რომლებიც ნათლად ასახავენ ენის მატარებელი ხალხის კულტურის ნაციონალურ თავისებურებებს, ძალიან მნიშვნელოვანია, თუკი გვსურს ადეკვატურად გავიგოთ და აღვიქვათ მოცემული ნებისმიერი ერის წარმომადგენელთა მენტალურობა.

**ლია ბაკურაძე, მარინა ბერიძე**

**ფერეიდნული დიალექტის შიდაენობრივი  
დიფერენციაციისათვის  
(ისტორიული და ლინგვისტური ასპექტები)**

ფერეიდნული – ქართული ენის დიალექტი ირანში, მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან გახდა სამეცნიერო კვლევის ობიექტი.

დიალექტის ერთ-ერთმა პირველმკვლევარმა არნოლდ ჩიქობავამ 1923 წელს ფერეიდნელების მეტყველება მოიხსენია ტერმინით *ფერეიდნული*. მან თავი შეიკავა ირანის ქართველთა მეტყველებისათვის *დიალექტი* ეწოდებინა, არც მისი კილოური მიკუთვნებულობა განუსაზღვრავს კატეგორიულად - ეს ნაადრევად მიიჩნია კახურისა და ინგილოურის შესწავლამდე. მკვლევარმა ფერეიდნულს „უცნაური ბედის მქონე *კახურ-ქიზიყურ-ინგილოური ნაგლეჯი*“ უწოდა.

მომდევნო თაობის მკვლევართაც დაეტყვოთ ერთგვარი „ყოყმანი“ და ფერეიდნულს პირველ ნაშრომებში „კახური დიალექტის ფერეიდნული კილო“ უწოდეს (ჩხუბიანიშვილი, უთურგაძე).

კახურთან ფერეიდნულის ისტორიული და ენობრივი დაკავშირება ტრადიციულია. ძირითად არგუმენტად სახელდება ირანში კახეთიდან ქართველთა მასშტაბური გადასახლების ისტორია და კახურისა და ფერეიდნულის საერთო ენობრივი თავისებურებები, თუმცა შენიშნულია დიალექტის ენობრივი შიდადიფერენციაციის არსებობაც (ჩხუბიანიშვილი).

2004 წლიდან აქტიურად ჩავერთეთ ფერეიდნულის კვლევისა და დოკუმენტირების პროცესში. ვრცელი ტექსტური და ლექსიკური მასალის გაანალიზებამ ცხადყო, რომ შიდაენობრივი დიფერენციაცია ფერეიდნულში საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული და მის აღსაწერად და ასახსნელად საკმარისი არ არის მხოლოდ სივრცული მიმართების

ამსახველი ტერმინები - ზემოფერეიდნული და ქვემოფერეიდნული (ჩხუბიანიშვილი). სრულიად რეალურად გვეჩვენება, რომ ამ ენობრივი დიფერენციაციის საფუძველი ქართველ მიგრანტთა განსხვავებული მიგრაციული წარსული იყოს.

მოხსენებაში განხილული იქნება ქართული, ევროპული, სომხური და სპარსული ისტორიული წყაროები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ირანში ქართველთა გადასახლება ხდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონიდან (საინგილო - ისტორიული ჰერეთი, ქართლი, თიანეთი, მესხეთი, თბილისი...). ასევე განსხვავებული იყო გადასახლების სახე და ტიპი (მასობრივი - არამასობრივი, იძულებითი - საყოფაცხოვრებო...).

ისტორიული წყაროების მონაცემები ამყარებს ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ფერეიდნული დიალექტი განსხვავებულ დიალექტურ შრეებს მოიცავს. როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე მოხდა შიდადიალექტური გათანაბრება „დიალექტური კუნძულისათვის“ დამახასიათებელი გაწონასწორების კანონის შესაბამისად (ვ. ჟირმუნსკი), რაც საბოლოოდ გახდა ფერეიდნულის, როგორც ცალკე დიალექტის, ჩამოყალიბების საფუძველი.

მოხსენებაში ნაჩვენები იქნება, როგორ ხდება შიდაენობრივი დიფერენციული სურათის დოკუმენტირება ქართულ დიალექტურ კორპუსსა და ფერეიდნულ ლექსიკონში.

## ნატალია ბასილაია

### სასწავლო კურსი *აკადემიური წერა*

*აკადემიური წერის* სასწავლო კურსის ამჟამად მოქმედი კონცეფციების სხვადასხვაობას საკუთრივ დისციპლინის სწავლების ურთიერთგანსხვავებული მიზანდასახულობა განაპირობებს, კერძოდ: თუ უშუალოდ დარგის სპეციალობის სტუდენტებთან წერილობითი კომპეტენციის სფორმირება დგას წინა პლანზე, არადარგობრივი ანუ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის ზოგადი, უნივერსალური - ჰუმანიტარული ცოდნის პრეზენტაციის უნარების გამომუშავება დომინირებს.

რამდენადმე დიფერენციულია ამ კონცეფციებისადმი მიდგომა ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ უნივერსიტეტში, რაც იმაში გამოიხატება, რომ აკადემიური წერა ისწავლება ორი დამოუკიდებელი - კურსის სახით: როგორც უნივერსალური კურსი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლების პირველი წლის სტუდენტებისთვის და - როგორც სპეციალიზირებული საგანი უფროსი კურსის/მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

ევროპის ბევრ უნივერსიტეტში ამ დისციპლინის სწავლებას თვით სასწავლო ენის თავისებურება განაპირობებს: ერთ შემთხვევაში იგი სტუდენტებს ეკითხებათ მშობლიურ ენაზე, ანალოგიურად ყველა სხვა საგნისა; ხოლო მეორე შემთხვევაში ის უცხოური ენის სწავლების სისტემაშია ჩართული და სამიზნე ენაზე - დავუშვათ ინგლისურზე - სამეცნიერო ტექსტების პროდუცირების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას ემსახურება.

მოცემული კურსი თსუ-ში კონციპირებულია სტუდენტის მშობლიურ ანუ ქართულ ენაზე წერილობითი კომპეტენციების ფორმირებისადმი მისადაგებულად და ისწავლება ორ დონეზე - ბაკალავრიატსა და დოქტორანტურაში. შესაბამისად, პირველ დონეზე სამეცნიერო ტექსტის პროდუცირების საბაზისო უნარების გამომუშავებაა მთავარი, მომდევნოზე კი - ამ კომპეტენციების გაუმჯობესება და მათი აყვანა სადოქტორო დისერტაციის წერის უნარებამდე.

აკადემიური წერის კურსის მთავარი პრობლემურობა ის არის, რომ იგი ინტენსიურ დამოუკიდებელს მუშაობას საჭიროებს არა მხოლოდ თვით სტუდენტის მხრიდან, არამედ ასევე უდიტორიის გარეშე ერთობლივ მუშაობას პედეგოგსა და სტუდენტს შორის. აკადემიური - წერის უნარების გაუმჯობესებას ემსახურებოდა 2015 წლის განმავლობაში სლავისტიკის მიმართულებაზე მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის დამუშავება, რომელშიც ატიურად/პირდაპირი წესით ჩართული იყო ხუთი სტუდენტი, პასიურად კი მთელი ჯგუფი. დადებითი შედეგები ძირითადად გამოვლინდა პრეზენტაციისას.

ახალი პროექტი ემდგინება ლექსიკონ-ცნობარის აკადემიური წერის ტერმინები და ცნებები შექმნას, რომელზე მუშაობისას სტუდენტები სამეცნიერო ენის სხვადასხვა ჟანრის თავისებურებებს დაეუფლებიან.

## ნაირა ბეპიევი

### იოანე იალღუზიძე და ქართული მწერლობა

იოანე იალღუზიძე-გაბარაევი (1775-1830) XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაბადებულია ჯავის რაიონში. მას შესანიშნავი სასულიერო განათლება მიუღია ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე. ის იყო ქართული, ოსური და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე.

ფართო და მრავალმხრივია იოანე იალღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა. იოანე ქართულ ენაზე ლექსებსაც წერდა. მას ლექსი მიუძღვნია ქეთევან წერეთლის ასულისადმი.

იოანე იალღუზიძე ცნობილია ასევე როგორც ქართულ წიგნთა გადამწერი. აკად. გ. ახვლედიანისა და აკად. ა. შანიძის ცნობით, იოანე იალღუზიძემ მოღვაწეობა ქართული წიგნების გადაწერით დაიწყო. მას სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ გადაუწერია ოთხჯერ (1807 წელს გადაუწერია თავისთვის, 1808 წელს, გარკვეული ჩამატებებით, ქეთევან წერეთლის ასულისათვის, გადაუწერია 1812 წელსაც, ხოლო პირველი ნუსხა უთარილო და ანდერძდაკარგული არ ჩანს, რომელ წელსაა გადაწერილი).

იოანე იალღუზიძეს გადაუწერია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (რომელიც ა. ხახანაშვილის ცნობით, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში). მას გადაუნუსხავს სხვა ქართული წიგნებიც: „დავრიშიანი“, „მირიანი“, თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“ და სხვ.).

იოანე იალღუზიძეს უთარგმნია ქართულიდან ოსურად ოთხთავი, რომელიც დაცულია სამი ხელნაწერის სახით (თბილისში, პეტერბურგსა და მოსკოვში). 1927 წელს ვ. აბაევს გ. ახვლედიანისთვის გამოუგზავნია ოსური ოთხთავის ხელნაწერის ფოტოკოპირი. ეს ხელნაწერი შესრულებულია 1823 წელს. ქართველი ენათმეცნიერის დასკვნით, ამ ხელნაწერის გრაფიკულმა შეჯერებამ 1802 წლის ხელნაწერთან ცხადყო, რომ ამ უკანასკნელის ავტორიც ი. იალღუზიძე იყო.

1820-24 წლებში დაიბეჭდა იოანე იალღუზიძის მიერ თარგმნილი საეკლესიო წიგნები: ლოცვანი; საღმრთო ლიტურდია; გამოკრებილი კურთხევანი. ყველა ჩამოთვლილი წიგნი ორენოვანია, ქართულ-ოსური. დაბეჭდილია ქართული (ნუსხური) ასოებით.

1820 წლიდან იოანე იალღუზიძე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ქართულსა და ოსურ ენებს.

იოანე იალღუზიძე ცნობილია, როგორც ქართული გრაფიკის საფუძველზე ოსური ანბანის შემქმნელი. მის მიერ ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ოსური ანბანით დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ოსურ ენაზე თარგმნა მუხტარ შავლობთიმ), კოსტა ხეთაგუროვის „ოსური ლირა“, არსენ ქოცოითის თხზულებები (1951 წ.), ცომაყ გადიათის რჩეული ნაწერები (1952 წ.), ასევე სხვა ოს მწერალთა ნაწარმოებები. ეს კი ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი იყო, რაც კიდევ უფრო აახლოებდა ამ ორ ხალხს ერთმანეთთან.

იოანე იალღუზიძე-გაბარაევის ქართულ ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები, მის მიერ გადანუსხული ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ქმნილებები ცხადყოფს, რომ იგი ქართული მწერლობის დიდი დამფასებელი და მოამაგე ყოფილა.

## მარინა ბერიძე

### ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი – სამეცნიერო ენის შესწავლისა და ლექსიკოგრაფირების ინსტრუმენტი

კომპიუტერის შექმნამ და დამკვიდრებამ ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში ლინგვისტური მასალის ახლებური გააზრებისა და კვლევის შესაძლებლობა წარმოშვა, სახელდობრ, გაჩნდა ვრცელი ტექსტური მასივების შენახვისა და მეცნიერული კვლევის ტექნიკური შესაძლებლობა - ტექსტების კორპუსები.

კორპუსული მოძრაობა ერთნაირად ნაყოფიერად წარიმართა ე.წ. ზოგადი (უნივერსალური) და სპეციფიკური (თემატური) კორპუსების შესაქმნელად. უნივერსალური კორპუსების ტიპური ნიმუშია ეროვნული კორპუსები, რომლთა ამოცანაა ერთიანი ეროვნული ენის მიახლოებული მოდელის წარმოდგენა. სპეციალური (თემატური) კორპუსები კი ენის რომელიმე კონკრეტული ჭრილის თავისებურებათა ასახვისთვის არიან მოწოდებული. დარგობრივი მეტაენის კორპუსები სპეციფიკური კორპუსების რიგს განეკუთვნება.

მიმდინარე პროექტმა საფუძველი უნდა დაუდოს ქართული სამეცნიერო აზროვნების ვრცელი, მრავალდარგოვანი, დინამიკური, მონიტორული ტექსტური კორპუსის შექმნას. ამ ეტაპზე კორპუსში განთავსებულია ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა (15 მონოგრაფია და 150-ზე მეტი სხვადასხვა სახის ნაშრომი (სტატია, თეზისი, გამოხმაურება...); გამოსაცემად მზადდება რამდენიმე ხელნაწერი), თუმცა კორპუსის არქიტექტურა მზადაა იმისთვის, რომ მომავალში შეუფერხებლად დაიმატოს ნებისმიერი სხვა ავტორის ან სხვა სამეცნიერო დარგის ლიტერატურა.

კორპუსის საძიებო სისტემა ყველა ამ ნაშრომში მრავალმხრივი ძიების წარმოების საშუალებას იძლევა. გააქტიურებულია როგორც ფრაგმენტული (სიტყვის ნაწილებით), ისე სხვადასხვა ლინგვისტური და მეტამახასიათებლების მიხედვით ძიება.

სამეცნიერო ტექსტის სიტყვანი დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი - მონიშნულია ტერმინები, გაანალიზებული ფორმები და ნარატიული ლექსიკა.

შემუშავდა და წარმატებით განხორციელდა კორპუსის ნახევრადავტომატური მორფოლოგიური ანოტირების კონცეფცია. ბესარიონ ჯორბენაძის ქვეკორპუსის გასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება ერთი ავტორის მეცნიერული პროდუქციის მრავალპლანიანი კვლევა.

კორპუსისა და ტექსტების ბიბლიოთეკის გარდა პლატფორმა მოიცავს ტერმინთა სამენოვან გლოსარიუმს, რომელიც ტექსტში დადასტურებულ ტერმინებს წარმოადგენს ინგლისური და რუსული შესატყვისებით.

შექმნილია მეტაენის კორპუსის ლექსიკოგრაფიული რედაქტორი - როგორც ტერმინთა მრავალპარამეტრიანი, სტრუქტურირებული, ანოტირებული, ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნის ინსტრუმენტი.

მოხსენებაში, ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო ნაშრომთა ქვეკორპუსზე დაყრდნობით, წარმოდგენილი იქნება სამეცნიერო მეტაენის კორპუსის, როგორც ქართული დარგობრივი დისკურსის კვლევისა და ლექსიკოგრაფირების ინსტრუმენტის პოტენციალი.



## თინათინ ბოლქვაძე

### ბიბლიური მითები და ლინგვისტური თეორიები

მოხსენებაში განიხილება მეოცე საუკუნის ლინგვისტური თეორიების დამოკიდებულება ორი ბიბლიური მითისადმი - ბაბილონის გოდოლისა და წარღვნის ამბისადმი. სპეციალური მსჯელობის საგანი იქნება, როგორ მოხდა ამ მითების ტრანსფორმაცია ნეოგრამატიკული ტრადიციის საპირისპიროდ შექმნილ ორი საენათმეცნიერო თეორიაში - პრადის ლინგვისტური წრის წიაღში წარმოშობილი ენობრივი კავშირისა და საბჭოთა იაფეტურ თეორიაში. ამ ორ ლინგვისტურ თეორიას შორის, მიუხედავად საოცარი მსგავსებებისა, იყო პოლიტიკური დაპირისპირება. ენობრივი კავშირის თეორია საბჭოეთში 60-იან წლებამდე ფასდებოდა როგორც „ბურჟუაზიული ენათმეცნიერება“, ხოლო ნიკო მარის იაფეტური თეორია, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში ითვლებოდა ოფიციალურ საბჭოთა ენათმეცნიერებად, 1950 წლის ენობრივი დისკუსიის შემდეგ უარყოფილი იქნა, როგორც მარქსიზმის იდეებთან შეუთავსებელი.

მოხსენებაში ნაჩვენებია იქნება ენობრივი კავშირებისა და იაფეტური თეორიის მეთოდებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი და ის პრობლემატიკა, რომელიც იმემკვიდრა თანამედროვე ენათმეცნიერებამ ამ თეორიებიდან.

## რუსუდან ზექალაშვილი

### ზმნურ ფორმათა უნიფიკაციის ზოგიერთი შემთხვევა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში

დროთა განმავლობაში, როგორც წესი, ენა იცვლება, რაც განპირობებულია გარეენობრივი და შიდაენობრივი ფაქტორებით. ენობრივ ფორმათა დიფერენციაციისა და უნიფიკაციის პროცესი ერთდროულად მოქმედებს სალიტერატურო ენასა და დიალექტებში და ერთგვარად აწონასწორებს ენის განვითარების ბუნებრივ პროცესს.

სიტყვათქმნადობისა და სიტყვათსესხების შედეგად ენის ლექსიკური ფონდი შედარებით სწრაფად იცვლება, გრამატიკული წყობა კი

უფრო სტაბილურია და ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი, მაგრამ ეს პროცესი ბუნებრივია დიალექტებში, რისი მიზეზიც გრამატიკულ ფორმათა სინონიმია ჩანს. სალიტერატურო ენის ნორმებისთვის მიუღებელი ფორმები ზოგჯერ სასაუბრო ენაშიც ვრცელდება, რისი საფუძველიც შიდაენობრივი ფაქტორი უნდა იყოს, კერძოდ, ენობრივი სინონიმის თავიდან აცილების სურვილი და სწრაფვა უნიფიკაციისკენ.

უნიფიკაციის გამოვლენის ერთ-ერთი შემთხვევა ქართული ენის ზმნურ ფორმებში არის პირველი თურმეობითის წარმოება -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებში, როცა დიალექტებსა და სასაუბრო ენაში სულ უფრო ვრცელდება -ია დაბოლოებიანი პარადიგმა (უთქვია, უნახია, დაუთესია, დაუხატია...).

უნიფიკაციისკენ სწრაფვას უნდა მიეწეროს ჰ და ს პრეფიქსების გაქრობის ტენდენცია გარდაუვალ ორპირიან და გარდამავალ სამპირიან ზმნებში (კითხა, ჭირდება, დაბადებია...). ეს მოვლენა უფრო მეტად აქტიურია დასავლურ კილოებში, მაგრამ არც აღმოსავლური კილოებისთვისაა უცხო.

ქართული ენის დიალექტებში განსაკუთრებით თვალში საცემია მესამე სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების უნიფიკაცია: -ა სუფიქსის გამოყენება -ს მაგივრად (ჩან-ა, დგან-ა), -ან/-ენ სუფიქსების გამოყენება დასავლურ კილოებში (იმერულში, გურულში, აჭარულში, ლეჩხუმურში, რაჭულში) როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად სხვადასხვა მწკრივში: მოდი-ენ, წერდ-ენ, მევიდ-ენ, თქვ-ენ, დეინახ-ენ, გარევიდ-ენ, გოუშვ-ენ, შამევიდ-ენ, გაროუყვ-ენ, ამეიდ-ენ, შეჭამ-ენ, გაქრ-ენ, შერჩ-ენ, შეეშინ-ენ, გამეიქვ-ენ, იწვ-ენ, იცოდ-ენ.

შესაძლებელია, გრამატიკულ ფორმათა უნიფიკაცია დროთა განმავლობაში იქცეს სალიტერატურო ნორმის შეცვლის საფუძველად.

## დარეჯან თვალთვაძე

### ფსალმუნთა თარგმანების „თავისა და ბოლოსა ანდერძები“

ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული "თარგმანებად ფსალმუნთად" ქრისტიანული ეგზეგეტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელსაც მთარგმნელმა თავისი არაერთი „მოზრახული“ დაურთო. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ვრცელი შესავალი („თავისა ანდერძი“) და მოკლე ბოლოსიტყვა („ბოლოსა ანდერძი“), რომლებშიც მთარგმნელი მრავალ საყურადღებო საკითხს განიხილავს.

ფსალმუნთა თარგმანების შესავალში მთარგმნელი გვესაუბრება ამ წიგნის შექმნის ვითარებათა და მკითხველთაგან მისი მოხმარების წესის შესახებ და გვაწვდის საინტერესო ცნობებს აღნიშნული ეგზეგეტიკურ ძეგლის ბერძნულ ენაზე არსებული ვერსიებისა და მთარგმნელის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ. „შესავლის“ საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ორი საკითხის განმარტებას ეხება: 1) ფსალმუნთა წიგნის რამდენი განმარტება არსებობს ბერძნულად ("რაოდენნი არიან თარგმანებანი დავითისანი") და 2) რა წყაროებით ისარგებლა ქართული თარგმანის შემსრულებელმა ("ჩუენი ესე თარგმანი დავითისა რაოდენთა წიგნთაგან ერთად გამოკრებულ არს").

მოხსენებაში ანდერძების ტექსტზე დაყრდნობით განხილულია ფსალმუნთა წიგნის "ადგილ-ადგილობითი", "სრულებითი და "გამოკრებილი" თარგმანებების და მათი ბიზანტიელი ავტორების შესახებ ეფრემის ანდერძებში დაცული ცნობები, ასევე ცნობები ქართველი მთარგმნელის მიერ ამ ძეგლის გადმოღებისას გამოყენებული სხვა წყაროების შესახებ.

ფსალმუნთა თარგმანების ტექსტს დართული მთარგმნელის „ბოლოსა ანდერძი“, გარდა იმისა, რომ გვაუწყებს ძეგლის თარგმნის, ხელნაწერის (Q37) გადაწერის თარიღსა და გადამწერის ვინაობას, შეიცავს საინტერესო ცნობას წიგნის დასათაურების შესახებ. ეფრემ მცირის აზრით, მის მიერ თარგმნილ ეგზეგეტიკურ ძეგლს უნდა უწოდონ ან "თარგმანნი დავითისანი", რადგან მასში მრავალი მთარგმნელის კომენტარია გაერთიანებული და ამიტომ სიტყვა "თარგმანი" მრავლობით რიცხვში უნდა იყოს, ან "თარგმანი დავითისად", რადგან განმარტებაა ერთი მთლიანისა.

საყურადღებოა, რომ ეფრემ მცირე „ბოლოჲსა ანდერძში“ იმეორებს „თავისა ანდერძში“ ხაზგასმით ნათქვამს და მკითხველს შეახსენებს, რომ სათარგმანებელი ტექსტი ფსალმუნისა გიორგი მთაწმიდლის მიერ უნაკლულად თარგმანილი ტექსტია, რომელიც ეფრემმა უცვლელად გადმოღო, ხოლო „თარგმანი მუხლთად“, ანუ განმარტება კი ახლად ( ანუ პირველად) ითარგმნა ქართულად.

## იგორ კეკელია, ნანა სულავა

### ჰაპლოლოგიისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში

ფუძეთა შეერთებისას თუ დერივაციისას მარცვლის ამოვარდნა დამახასიათებელია მეგრული ანთროპონიმისა (იშვიათად) და ტოპონიმისათვის (უფრო ხშირად). გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრულში ფართოდ გავრცელებული და მრავალფეროვანი ეს ფონეტიკური მოვლენა უწინ მოქმედი ძლიერი მახვილის გამომახილი უნდა იყოს (პ. ცხადაია). ტოპონიმური მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ჰაპლოლოგიის შემთხვევები დასტურდება ფუძისეულ მორფემათა, ძირისეულ და დერივაციულ მორფემათა საზღვარზე, ერთი ფუძის ფარგლებში, იდენტურ ან მსგავს მარცვალთა შორის.

ჰაპლოლოგიას ადგილი აქვს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუკი დისიმილატორი და დისიმილირებული მარცვლების თანხმონები ერთგვაროვანია ჩქამიერობის ან სონორობის მიხედვით. იშვიათად დასტურდება კონტაქტური (დისტანციური) ჰაპლოლოგია.

ჰაპლოლოგიის კვალი ჩანს სენაკის მუნიციპალიტეტის 20-მდე მიკროტოპონიმში. აქვე წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას: **ბოგოტახირი**←**ბოგაგოტახილი** „ჩატეხილი ბოგირი“ - დელე სოფ. ბერთემში; **გუსქუაშ ნოხორი**←**გუგუსქუაშ ნოხორი** „გუგუშვილის ნასახლარი“ - სახნავი საშურდაიოში; **დირზენი**←**დიდი რზენი** „დიდი ვაკე“ - სახნავი საესებუოში; **თარანგელოზი**←**მთავარანგელოზი** - 1. ეკლესია კვაუთში; 2. ნაეკლესიარები სენაკში, საკილასონიოში, ფოცხოში, საადანაიოში, ლეგოგიე-ნასაჯუსა და სხვაგან; **თარსქუაშ ნოხორი**←**თათარსქუშ ნოხორი** „თათარაშვილის ნასახლარი“ - მინდორი უფალკარში; **კაჟოტახუე**←**კაჟიმ ოტახუე** „კაჟის სატეხი ადგილი“ - ფერდობი საადანაიოში; **კინონოხორი**←**კინოხონოხორი** - ბორცვი,

სახნავი ლესაჯაიეში; ნათისცემი//ნაცმერი//ივანე ნაცმერი// ნათლის-  
მცემელი//იოანე ნათლისმცემელი←გალავნით შემოზღუდული გორა  
საადამიოში; ოჯირონი←ოჯიბირონი - მინდორი ძველ სენაკში; პან-  
წყუ←პაპანწყუ - ნამეწყური ფერდობები ციხეთსა და საშურლაიოში;  
ჟვანოხორი←ჟვანიაშ ნოხორი „ჟვანიას ნასახლარი“ - ჩაის ფართობი  
ლეგოგინეში; სკურდი←სკურდიდი - მდინარე; სათავეს იღებს სოფ.  
გურძემში და ლეგოგიეს ტერიტორიაზე, საარზიანოს უბანში, მარცხნი-  
დან შეერთვის გურძემიას; სათარსქუო←სათათარსქუო „თათარაშ-  
ვილის უბანი“ - უბანი უფალკარში, სადაც თათარაშვილები ცხოვრო-  
ბენ; სიბისტროშ ოჩხარჩხალე←სილიბისტროშ ოჩხარჩხალე - ნაკადუ-  
ლი ლეგოგიე-ნასაჯუში; ქონოხორი←ქორთუმ ნოხორი „ქართველის  
ნასახლარი“ - სერი უფალკარში; ხუბნათხორა←ხუბ(უ)ნაიაშ ნათხორა  
„ხუბუნაიას (გა)ნათხარი“ - სამოვარი საცხვიტაოში; ჯა(ი)ნაჯუხურუ//  
ჯანაჯუხური←ჯაიანიშ ნაჯუხურუ - გორა მოხაშში; ჯაფხინჯი ←ჯა-  
პიმ ხინჯი „თუთის ხიდი“ - ღელე, უჩაღალის შენაკადი გოლასკურში;  
ჯირჩე←ჯინჯი რჩე - სახნავი ლეგოგიე-ნასაჯუში.

## ნათია კენჭიაშვილი

### ქართული სოციოლექტის ფუნქციონალური ანალიზი

სოციოლექტს ქმნის სოციუმი, რასაც განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

1) ჟარგონის გამოყენების შემთხვევები დამოკიდებულია საერთო სოციალურ განწყობაზე. მოსაუბრე არაოფიციალური სამეტყველო სიტუაციის დროს უპირატესობას ანიჭებს არა ქართულ სალიტერატურო ენას, არამედ სოციოლექტზე მეტყველებას; ამ ფაქტს სპეციალური მეცნიერული ახსნა აქვს:

ა) პერცეფციული ფონეტიკის დონეზე;

პერცეფციული ბაზისი.<sup>1</sup> ენობრივ პერცეფციულ ბაზისთა რიცხვი ერთმანეთისაგან ფონეტიკურად განსხვავებულ ენობრივ სისტემათა

---

<sup>1</sup> შენიშვ. პერცეფციული ბაზისის განმარტება ეთანხმება სოციოლინგვისტიკის ისეთ ტერმინებთან, როგორებიცაა: კოდების/სუბკოდების გადართვა და შერევა (იხ. ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, „მეცნიერება“, თბილისი, 2002, გვ. 11).

(ენათა, დიალექტთა) რიცხვს ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ყოველ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს იმდენი ინდივიდუალური ენობრივი პერცეფციული ბაზისი, რამდენ ერთმანეთისაგან ფონეტიკურად განსხვავებულ ენასა და დიალექტსაც იყენებს იგი სამეტყველო ურთიერთობისას<sup>2</sup>, ენობრივი აქტივობისას, როგორც წესი, ერთ ადამიანს რამდენიმე პერცეფციული ბაზისი გააჩნია.

#### ბ) სოციოლინგვისტიკის დონეზე;

**პრინციპი:** კოდების გადართვა და შერევა. ამგვარი ტენდენცია მეცნიერულად ახსნილია სოციუმის მეტყველებაში კოდისა და სუბკოდის არსებობის პირობებში. კოდით აღინიშნება ბუნებრივი ენა, ხოლო სუბკოდი გულისხმობს სალიტერატურო ენას, ტერიტორიულ დიალექტს, ჟარგონს, არგოს, სლენგს და ა.შ. ერთი და იგივე ინდივიდი ფლობს რამდენიმე სუბკოდს და მათი მონაცვლეობითი ანდა შერეული გამოყენება ხდება შესაბამისი სამეტყველო სიტუაციის მიხედვით. ამას ეწოდება კოდების გადართვა და შერევა.<sup>3</sup>

ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ თანამედროვე ქართული სოციოლექტი სხვადასხვა კუთხით, განვსაზღვროთ მისი ფუნქცია ენაში, ვილაპარაკოთ მისი გამოყენების არეალზე, ასაკობრივ ჯგუფებზე და ბოლოს დავვმოთ ის, როგორც პურიტანებმა და ენის სიწმინდის დამცველებმა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლექტის არსებობა ენაში ბუნებრივი მოვლენაა.

ქართული ჰომორგანული ენაა, რადგან მისი განვითარება დიაქრონიულად წარმოგვიდგება მეტ-ნაკლებად უწყვეტი პროცესის სახით. მიუხედავად ამისა, ის ისევე, როგორც სხვა ენობრივი სისტემები, განიცდის ცვლილებებს. მისი წყარო თავად მეტყველი სოციუმია, რომლის ყოველი წევრიც თვითონაა პასუხისმგებელი საკუთარ მეტყველებაზე, რათა არ მოხდეს ენაში ექსპრესიული ლექსიკის ჭარბი რაოდენობით გავრცელება.

---

<sup>2</sup> ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1975, გვ. 28;

<sup>3</sup> ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, „მეცნიერება“, თბილისი, 2002, გვ. 11.

## ქეთევან მარგიანი-სუბარი

### ჟი, ჩუ, სგა, ქა ელემენტების მორფოსინტაქსური ანალიზისათვის სვანურში

„ზმნისწინი იგივეა ზმნისთვის, რაც თანდებული სახელისთვის. ერთიცა და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას“ (ა. შანიძე); სვანურში ზმნისწინთა ორი რიგი არსებობს: ძირითადი ზმნისწინები და ე. წ. „წინდებულ-თანდებულები“ (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით); ეს უკანასკნელნი – ჟი(ა-/-ზე), ჩუ (ჩა-/-ში), სგა (შე-/-ში), ქა (გა-/-ზე...) – დღეს ორივე ფუნქციით გამოიყენება: კოჯ-ჟი „კლდეზე“ – ჟაჩად < ჟი-აჩად – „ავიდა“, ჯიბ-ჩუ „ჯიბეში“ – ჩუ-აშყად „ჩავარდა“, ქორი-სგა „სახლში“ – სგაჩად < სგა-აჩად „შევიდა“, ამე-ქა „ამაზე“ – ქაჩად < ქა-აჩად „გავიდა“...

მართალია, ეს ელემენტები, ქართულის მსგავსად, შეეზარდნენ სახელს ან ზმნას, მაგრამ ისტორიული დამოუკიდებლობაც რომ ბოლომდე არ დაუკარგავთ, ამაზე მეტყველებს ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი კიდევ რამდენიმე მორფოსინტაქსური ფუნქცია:

ა) ზმნიზედის მნიშვნელობით მათი მონაწილეობა წინადადებაში:

ჟი ი ჟი ესღრი \_ „ზევით და ზევით მიდის“...

სგა-ი აჩად \_ „შიგნითაც შევიდა“...

ბ) პარონომაზიული კონსტრუქციების შექმნის უნარი ზმნის პირიან ფორმებთან ერთად:

ჟი ჟაჩად, მარე ჩუ დეშ ანტაზ = „ასვლით ავიდა („ზევით ავიდა“), მაგრამ ვერ ჩამობრუნდა (/ქვევით ვერ დაბრუნდა)“;

ჟი-ე ჟაჩად ი ჩუ-ე ჩუანტაზ = „ასვლითაც ავიდა და ჩამობრუნებითაც ჩამობრუნდა“ („ზევითაც ავიდა და ქვევითაც ჩამობრუნდა“);

გ) ქართულ „ც“-ს ბადალი ი ნაწილაკთან ერთად დამოკიდებული წინადადების შექმნის უნარი:

შდრ.: სგაჩად „შევიდა“ – სგა-ე აჩად „როგორც კი შევიდა/შევიდა თუ არა...“ (არ გამოვრიცხავთ, რომ მოცემულ სიტუაციაში ი დიაქრონიულად სულაც არ იყოს „ც“ ნაწილაკი და იყოს იმჟი „როგორ“ მიმართებითი ზმნიზედის ელიფსის შედეგად დარჩენილი ელემენტი: სგა

იმყო აჩანდ „შიგნით როგორც შევიდა“, რაც საანალიზო საკითხთან დაკავშირებით ვითარებას არ ცვლის).

ვფიქრობთ, „წინდებულ-თანდებულების“ ჩამოთვლილი ფუნქციების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ქართულისგან განსხვავებით, სვანურში ისინი მხოლოდ „ოდესღაც დამოუკიდებელი სიტყვები“ (ა. შანიძე) კი არ არიან, არამედ შენარჩუნებული აქვთ არქაული ვითარებაც.

## მაია ლომია

### მორფოლოგიურ ომოფორმათა განსხვავების სინტაქსური საფუძველი მეგრულში

მეგრულის დიალექტურ არეალებად დაყოფის ერთ-ერთი საფუძველია ფონეტიკა-ფონოლოგიის წესები და კანონები. ცნობილია, რომ აღმოსავლური არეალისთვის არ არის დამახასიათებელი ერთგვარ ხმოვანთა შერწყმა, მაშინაც კი, როცა ისინი უფუნქციოა; ამ მხრივ, დასავლური არეალი განსხვავებულ ენობრივ სურათს გვიჩვენებს და ბგერათშერწყმის ფონეტიკურ პროცესს ხელს ვერ უშლის მორფოლოგიურ ღირებულებათა, შესაბამისად, სემანტიკათა სხვაობაც.

მეგრულის დასავლურ არეალში მორფოლოგიური ომოფორმის მაგალითებს იძლევა ვა(რ) „არა“ უარყოფის ნაწილაკისა და აორისტიტად მოცილებული ზმნური ფორმის ერთმანეთთან დაკავშირება, რომელიც ერთ შემთხვევაში ჩვეულებრივ უარყოფას გადმოსცემს, ხოლო მეორე შემთხვევაში - შესაძლებლობისას. კერძოდ, ვაჭკომუ - 1. არ ჭამა; 2. ვერ ჭამა.

- ბაღანა-ქ ოჭკომალი ვაჭკომუ - „ბავშვ-მა საჭმელი არ ჭამა“.

- ბაღანა-ს ოჭკომალქ ვაჭკომუ - „ბავშვ-მა ვერ შეძლო საჭმლის ჭამა“.

მორფოლოგიურ ომოფორმათა განსხვავება, კონტექსტის გათვალისწინების გარდა, შესაძლებელია სინტაქსურადაც: ერგატიული კონსტრუქციით ჩვეულებრივი უარყოფა გადმოიცემა, დატიურით კი - შესაძლებლობისა.



## ანა მაისურამე

### A (H-1207) K (ქუთ. 28)-ს თავისებურებები რიცხვთაში

AK ხელნაწერებში დაცული რიცხვთა წიგნის ტექსტი განსხვავებულ ხასიათს აჩვენებს ე. წ. S<sup>4</sup>-ის ტიპის ტექსტისაგან, რაც მის მიმართ ინტესესს ზრდის. ფაქტია, რომ რიცხვთა წიგნის ტექსტუალური არაერთგვაროვნება წარსულში პარალელურ ტექსტთა თანაცხოვრებამ გამოიწვია. რა შეიძლება ვუწოდოთ დღეს იმ ვერსიებს, რომელთაც ჩვენამდე მოღწეული ტექსტის ფორმა გამოძერწეს? თარგმანი, რეცენზია თუ რედაქცია? დღეს უკვე რთულია მთარგმნელის, რედაქტორის ან გადამწერის პლასტების გამოყოფა, მათი კვალიფიკაცია.

რიცხვთა წიგნის ქართული თარგმანების ორიგინალად სეპტუაგინტას ტრადიციის ტექსტია მიჩნეული. თუმცა, უფრო კონკრეტულად, რომელ უცხოენოვან წყაროებთან ავლენს კავშირს ესა თუ ის ქართული ტექსტუალური ტიპი და მათ შორის, AK ხელნაწერებში დაცული ტექსტი, გამოკვლეული არაა. იმისთვის, რომ დადგინდეს ორიგინალი, ტექსტი უნდა შეუდარდეს ჩვენამდე მოღწეულ ყველა უცხოენოვან წყაროს. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ AK-ს ტექსტუალურ თავისებურებათა ზუსტ კვალიფიკაციას, განვსაზღვრავთ, რეცენზენტის მუშაობის ნაყოფია იგი, თუ ჩვენამდე არმოღწეული თარგმანის ნაშთი.

## დამანა მელიქიშვილი

### კვლავ პროკლეს „კავშირთა“ იოანე პეტრიწისეული განმარტების „ბოლოსიტყვაობის“ ავთენტურობისა და შედგენილობისათვის

1. იოანე პეტრიწის თეოლოგიური ნააზრევის შესახებ ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისები არსებობს. არანაკლებ ინტერესსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ პეტრიწისეული თარგმანის განმარტებისათვის დართული ვრცელი, შედგენილობის მიხედვით საკმაოდ ჭრელი ნაშრომი, რომელ-

---

<sup>4</sup> A-51

საც ტექსტის გამომცემელმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, პირობითად „ბოლოსიტყვა“ უწოდა.

„ბოლოსიტყვაობის“ ტექსტი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

2. მოხსენებაში „ბოლოსიტყვაობის“ I ნაწილისა და „განმარტების“ ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ეს ორი ტექსტი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან და თარგმანის „შესავალთან“ ერთად აზრობრივად და კომპოზიციურად შეკრულ მთლიანობას წარმოადგენს. „ბოლოსიტყვაობის“ ამ დასკვნითს ნაწილში პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ მთარგმნელმა და „განმარტების“ ავტორმა, იოანე პლატონურმა ფილოსოფოსმა, საბოლოოდ შეაჯამა თავისი თვალსაზრისი პროკლე დიადოხოსის ნეოპლატონური არსის სტრუქტურის ქრისტიანულ მრწამსთან შესაბამისობის თაობაზე: ფსალმუნთა, „სამების წინასწარმეტყველების“ წიგნის ცალკეული მუხლების „თანწარვლის სახით“ განხილვა-ღმრთისმეტყველება მას დასჭირდა სამების დოგმატთან დაკავშირებით მსჯელობის წარსამართავად და საჩვენებლად იმისა, რომ დავით წინასწარმეტყველს „თანმიეკმავებიან“ და „თანდაედაღადებიან“ პლატონური ფილოსოფოსი და, პირველ რიგში, პროკლე, რომელმაც პლატონის დიალოგებში დამარხული სიბრძნე ცხადყო და არსთადა თანაწარმოდგომილი სარწმუნოება „აღასახუმილა“.

„ბოლოსიტყვაობის“ ეს ნაწილი პროკლეს თეოლოგიური სისტემის ქრისტიანული თვალსაზრისით ინტერპრეტაციის წარმატებულ ცდას წარმოადგენს.

„ბოლოსიტყვაობის“ ტექსტის ძირითად ტექსტთან შედარებითი ანალიზი არ იძლევა საფუძველს იმ დასკვნისათვის, რომელიც ამ ბოლო ხანებში გავრცელებულია ამ საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაში, რომლის მიხედვითაც თითქოს „ბოლოსიტყვაობის“ I ნაწილი უნდა წარმოადგენდეს „წინასიტყვაობას“ „ფსალმუნთა“ იოანე პეტრიწისეული თარგმანის ტექსტისა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

3. „ბოლოსიტყვაობის“ მეორე ნაწილი ენობრივი მონაცემებით, თუ მთარგმნელობითი პრინციპების გადმოცემით, ადასტურებს პეტრიწის ავტორობას, მაგრამ იგი არ არის დაკავშირებული პროკლეს თხზულების თემასთან: იგი უნდა შეიცავდეს თარგმანის თეორიასა და და პრაქტიკაში სასწავლო სახელმძღვანელოს შესავლის ფრაგმენტებს.

4. „ბოლოსიტყვაობის“ შემდეგი ნაწილები, რომლებიც ენობრივი მონაცემების მიხედვით არ უნდა ეკუთვნოდეს იოანე პეტრიწს, ასევე, გარკვეული თვალსაზრისით ჩანს შერჩეული გელათის სკოლის სასწავლო სახელმძღვანელოებისათვის და შემთხვევით ჩანს მოხვედრილი H-1337 ხელნაწერის აღდგენილ ნაწილში.

## ნათია მიროტაძე

### დიპლომატიური გამოცემა – ტექსტოლოგიური აისბერგი (H-1337-ის მაგალითზე)

თეორიულად, ტექსტის დიპლომატიურად გამოცემა უმარტივესი საქმეა, რადგან დიპლომატიურ გამოცემაში გამოვცემთ ერთი რომელიმე წყაროს (ე.ი. ხელნაწერის) ტექსტს მაქსიმალურად ზუსტად იმ სახით, რომლითაც ხელნაწერშია წარმოდგენილი. გამომცემელი მინიმალურად ერევა ტექსტში, რაც თანამედროვე სასვენი ნიშნების დასმით, ქარაგმების გახსნითა და კალმის შეცდომების გასწორებით შემოიფარგლება. რა თქმა უნდა, გამომცემლის მიერ კალმის შეცდომად კვალიფიცირებული და უარყოფილი ვარიანტი კრიტიკულ აპარატში დოკუმენტირდება.

საქმე რომ ასე მარტივად არაა, პირველივე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისას ხდება ცხადი. ყველა ხელნაწერს გადაწერის, დაზიანების, რესტავრაცია-ინსტავრაციის თავისი ისტორია აქვს, დიპლომატიურ გამოცემაში კი აუცილებელია ამ ყველაფრის ასახვა და წარმოჩენა. შევეცდებით ეს ყოველივე H-1337-ის მაგალითზე ვაჩვენოთ.

ხელნაწერი მე-13 საუკუნითაა დათარიღებული და შეიცავს პროკლე დიადოხოსის *კავშირნი ღვთისმეტყველებითნის* იოანე პეტრიწისეულ თარგმანსა და თარგმანებას.

მოხსენებაში განვიხილავთ ყველა სირთულეს, რომელთა გადაჭრაც H-1337-ის დიპლომატიურად გამოცემისას მოგვიხდა და რომლებიც დაკავშირებული იყო სხვადასხვა ფაქტორთან:

#### ფაქტორი I. გადამწერი:

1) გადამწერის მიერ დაშვებული არაკალმისეული შეცდომები, რომლებიც გადამწერს შეუმჩნეველი და გაუსწორებელი რჩება და რომელთა მეორეულობა აშკარაა.

2) გადამწერის მიერ დაშვებული და გასწორებული შეცდომები (სტრიქონს ზემოთ ან მარგინალაზე დამატებული გადაწერისას გამორჩენილი ასოები თუ სიტყვები).

3) გადამწერისეული სხვადასხვა ტიპის მარგინალური შენიშვნები.

#### ფაქტორი II. ხელნაწერის მდგომარეობა:

1) გადარეცხილი და გაფერმკრთალებული ტექსტი

2) ხელნაწერის რესტავრირებულ ნაწილებში მოთავსებული ტექსტი

3) გაცხოველებული გვერდები

4) გვიანდელ მკითხველთა კორექტურები

5) მოგვიანებით რესტავრირებულ ნაწილთა ორთოგრაფიული თავისებურებანი

ზემოჩამოთვლილ ფაქტორთა ურთიერთქმედება ქმნის ამა თუ იმ ხელნაწერის ტექსტის ინდივიდუალურობას, რომელიც მრავალი დეტალის სახით ვლინდება. ამ დეტალების ასახვა დიპლომატიურ გამოცემაში არც ისე მარტივი, მაგრამ აუცილებელია.

მოხსენებაში განვიხილავთ ყველა მნიშვნელოვან შემთხვევას და ვუჩვენებთ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას, რომელთაც გამოცემისას მივმართეთ.

## ნიკოლოზ ოთინაშვილი

### შიდა ქართლის წარწერების პალეოგრაფიულ-ენობრივი საკითხები (ზღუდერი, ერედვი)

ცხინვალის შესასვლელში მდინარე ლიახვის მარცხენა მხარეს დგას ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. აღმოსავლეთის მხარეს თირის ქვაზე არის ნუსხური გრაფიკით შესრულებული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ძეგლის განმაახლებელი მარიამ დედოფალი. იგი იყო როსტომ მეფის მეუღლე, რომელმაც სხვა ძეგლებთან ერთად ზღუდერიც აღადგინა მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში.

ღ~ წლისა, მ~წამეთა, წარ~ჩინებულო, ღ~ დაო, გ~ი გიორგი და სხვა სიტყვები დაქარაგმებულია. ხმარებიდან გასული ასოებიდან გვხვდება ჯ-არი, მ-ოჰი.

ტექსტში რამდენიმე ადგილას გვხვდება სავრცობი ა, რომელიც ძირითადად მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელებს დაერთვის: დღესა დიდსა განკითხვისასა მადიდებელსა. თანდებულები გვხვდება გავრცობილი ფორმით: შინა ცხოვრებათა, შინა ამინ.

მიუხედავად ასეთი ფორმებისა, ძეგლის წარწერაში ნათლად ჩანს, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა რღვევას განიცდის.

სოფელ ერედვის წმინდა გიორგის სახელზე ბაზილიკა აგებულია 906 წელს. ასომთავრული სამშენებლო წარწერა მოთავსებულია სამხ-

რეთის შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს ტუფის მრგვალ სვეტზე. დაქარაგმებულია სიტყვები: ღმთა - ღმრთისაითა, წმა - წმიდისა, ღვი - ღვთივ, კლ - კულად, ყსა - ყოვლისა, ჯ არითა - ჯვრითა, თე - თეოდორე.

ძველი ასობგერებიდან წარწერაში გვხვდება დ-იოტა ღმრთისა-თა, მოყუასთა-თა, მეფე, თაფლა-დსძე, ჳ-ხარი ბგერა გვხვდება სიტყვის თავში: კელმწიფობასა, ბოლოში: გარდაჰჳდა. გვხვდება უმარცვლო უ- მშუიდობით, ჯუარითა, მოყუასთა-ითა.

სავრცობი ა ძირითადად გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში: მამისა და ძისა და სულისა. სავრცობი ა ასევე გამოყენებულია საკუთარ სახელებთან: ტბელისა ივანესა, ნიქოზელისა, წმიდისა კონსტანტინე მეფისასა.

მოთხრობითი ბრუნვის წარმოება ძველი ქართულისებურია: რომელმან ბრძანა, მე თევდორე თაფლაისძემან. ზმნები გვხვდება მეორე სერიაში: ბრძანა, იქცა, დალეწა, ილოცა, გარდაჰდა და სხვა.

საყურადღებოა, რომ ერედვის მეათე საუკუნის დასაწყისის წარწერაში აღბეჭდილია ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები.

## სალომე ომიაძე

### პერსონიფიკაციით შეპირობებული ლექსიკურ-გრამატიკული ძვრები

პერსონიფიკაცია, როგორც მხატვრული ხერხი, როგორც მეტაფორის კერძო სახე, საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ჩვენი მიზანია გაპიროვნების შემთხვევათა ანალიზი არა მხატვრულ ტექსტებში, არამედ ენის სისტემაში.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მეცნიერები მეტაფორას არა მხოლოდ ტროპის სახედ განიხილავენ, არამედ სამყაროს შემეცნების ხერხად, რეალობის გამასიტყვებელ საშუალებად მიიჩნევენ. იგივე ითქმის პერსონიფიკაციაზეც.

პერსონიფიკაცია გულისხმობს ცოცხალ, სულიერ არსებათა თვისებების გადატანას არაცოცხალ საგნებსა და განყენებულ ცნებებზე, ხოლო მეტაფორიზაციის დროს ყოველგვარი თვისების გადატანა

ხდება ნებისმიერი საგნიდან ან მოვლენიდან სხვა საგანსა თუ მოვლენაზე. მეტაფორა შორდება საგანს და საკუთარ მნიშვნელობაში საგნის მხოლოდ ზოგიერთ ნიშან-თვისებას ინახავს, პერსონიფიკაციის დროს კი ახალი არსებითი მახასიათებელი ჩნდება, მაგრამ ეს მოვლენა არ გვაშორებს რეალურ დენოტატს და სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ბირთვიც პრაქტიკულად უცვლელი რჩება. მართალია, ახალი ჰიპოსემა ყველა დანარჩენ მნიშვნელობას უპირისპირდება, თუმცა მისი გაჩენით სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ კონკრეტული კონტექსტის ფარგლებში ფართოვდება.

პერსონიფიკაციის პროცესი სემანტიკური ცვლილებებით არ შემოიფარგლება. მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი ამ მოვლენით შეპირობებულ ლექსიკურ-გრამატიკულ ძვრებზე, სახელდობრ, განიხილება შემდეგი საკითხები:

- სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები და რიცხვის გრამატიკული კატეგორია (-ებ-იან მრავლობითში მდგომი რეალურად უსულო სუბიექტის რიცხვის ასახვა ზმნაში);

- რეალურად უსულო და სულიერ არსებით სახელთა არატიპობრივი შეწყობა ქონა-ყოლის ზმნებთან;

- ყვან-/ტან- ზმნურ ფუძეებთან სულიერ და უსულო საგანთა სახელების შეხამება მყარ გამოთქმებში;

- ანთროპომორფული მსაზღვრელიანი შესიტყვებები.

## ნელი უგრეხელიძე

### გარდამავალი პერიოდის ქართული ენის დახასიათება მე-18 საუკუნის ხელნაწერების მიხედვით

მე - 18 საუკუნის ქართული სალიტერატურო ენა საშუალო ქართულია, მაგრამ მისი გრამატიკული ნორმები ყოველთვის არ არის ერთიანი. ახალ ნორმებთან ერთად იხმარება ძველი სალიტერატურო ენის ნორმებიც. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ამ საუკუნეში შექმნილი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები, მათ შორის სპარსულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლები. მათთვის დამა-

ხასიათებელია ძველი და ახალი სალიტერატურო ენის ფორმათა პარალელური ხმარება. ამ მხრივ, საინტერესოა მე-18 საუკუნეში თარგმნილი სპარსული თხზულებების „სეილანიანის“ და „ყარამანიანის“ ქართული ხელნაწერები, რომლებიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. ისინი გადაწერილია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ხელნაწერები უხვ მასალას იძლევა საშუალო ქართული ენის განვითარების ბოლო საფეხურის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური წყობისა და ლექსიკური თავისებურებების კვლევისას. ხელნაწერებში თითქმის ყველა ის გრამატიკული მოვლენა ვხვდებით, რაც მეცნიერთა მიერ სხვადასხვა ისტორიული საბუთებისა თუ სხვა დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგადაა გაანალიზებული და გადმოცემული. სტატიაში დახასიათებულია ამ ხელნაწერთა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, რაც საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ენის განვითარებაზე.

ხელნაწერებში იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ფარინგალური ხშული ჯ. გვხვდება აგრეთვე ნახევარხმოვანი **ჟ** სხვადასხვა შემთხვევებში: **ი ; ჰ**-ს მნიშვნელობით; **გ**) როცა **ჟ** და ჩვეულებრივი **ი** პარალელურად გამოიყენება. მეტად არათანმიმდევრულია **ჟ** ნიშნის გამოყენება. ხელნაწერებში **ჟ** ნიშანი გამოყენებულია როგორც **ვი**-ს მნიშვნელობით, ასევე **ვ**-ს მნიშვნელობითაც. საინტერესოა **ჭ** -ს გამოყენების შემთხვევებიც: **ა**) როცა **ჭ** გამოყენებულია **ჰ**-ს მნიშვნელობით მიმართვის დროს; **ბ**) როცა სახელის თავკიდურად გამოიყენება; **გ**) როცა ჩვეულებრივ **ჰ**-ს მნიშვნელობით გამოიყენება; **დ**) როცა **ჭ** ჩართულია სიტყვის შუაში.

ხელნაწერებში შემდეგი ფონეტიკური მოვლენები შეინიშნება: ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, სუბსტიტუცია, მეტათეზისი. მორფოლოგიაში თავს იჩენს ძველი და ახალი ნორმების პარალელური ხმარება. ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვა ახალი ქართულის ნორმებს ემთხვევა, ხოლო მოთხრობით ბრუნვაში იხმარება როგორც -მან ასევე -მ დაბოლოებებიც. ხელნაწერებში გვხვდება სინტაქსური თავისებურებებიც.

## ნათია ფუტყარაძე

### დიათეზათა მორფო-სინტაქსური კატეგორია მეგრულში

მოხსენებაში ვისაუბრებთ ჩვენ მიერ შესწავლილ დიათეზათა მორფო-სინტაქსურ კატეგორიაზე (იხ. დ. მელიქიშვილი, 1979, 2001, 2014) მეგრულ ზმნათა რეპრეზენტაციულ ბაზაზე დაყრდნობით.

ა. პირველ დიათეზაში შედის ვინის რიგით მარკირებული R-∅ სტრუქტურის ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა nom-erg-dat;

ბ. მეორე დიათეზაში შედის ვინის რიგით მარკირებული R-უ/ე(ნ) სტრუქტურის ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა nom-erg-nom;

გ. მესამე დიათეზაში შედის მანის რიგით მარკირებული R-∅ და R-უ/ე(ნ) სტრუქტურის ზმნური ფორმები, რომელთა კონსტრუქციაა dat-(dat)-dat.

სამივე დიათეზის სინტაქსური კონსტრუქცია და ვინისა და მანის რიგით მარკირებული ზმნის მორფოლოგიური გვარეობითი სტრუქტურები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან და მყარ, ჩამოყალიბებულ საოპოზიციო ერთეულებს წარმოადგენენ.

გარდა თეორიული შესწავლისა, ჩვენ გადავამოწმეთ მიღებული შედეგები: ჩავატარეთ პრაქტიკული კვლევა იმის გასაგებად, ადვილად აღსაქმელია თუ არა ქართველური ზმნის კონსტრუქციის მუშაობის სამი ძირითადი წესი დიათეზათა მორფო-სინტაქსური კატეგორიის ფარგლებში. ცდისპირებად შევარჩიეთ უცხოელები, რომელთაც უჭირდათ ქართული ზმნის კონკრეტულ ფორმებთან დაკავშირებულ სახელთა მართებული ბრუნვის ნიშნით მარკირება. შედეგი დადებითი აღმოჩნდა.



## ლია ქაროსანიძე

### „ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის“ მნიშვნელობისათვის

1990 წელს გამოვიდა მზექალა შანიძის ნაშრომი „სიტყუაჲ ართრონთათვის“- ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი“. გამოკვლევაში განხილულია XI საუკუნის გრამატიკული ხასიათის შენიშვნა, რომელშიც დასტურდება ბრუნვების, რიცხვის, სიტყვის ფორმაცვლების აღმნიშვნელი ტერმინები: დრეკა, ადვილობითი, შობილობითი, მიცემითი, მიზეზობითი და სხვ. მზექალა შანიძე დაწვრილებით განიხილავს თითოეულ ტერმინს ბერძნულ ტერმინოლოგიასთან მიმართებით.

მზექალა შანიძის ამ გამოკვლევამ ცხადყო ქართული გრამატიკული აზროვნების ბერძნულთან მიმართება და საბოლოოდ უარყო ქართულ (და არა მარტო ქართულ) სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება მისი სომხურიდან მომდინარეობის შესახებ.

## რამაზ ქურდაძე

### -ამ სუფიქსის მნიშვნელობისათვის ქართულ ტოპონიმებში

სურ-ამ-ი, ბეკ-ამ-ი, ოკ-ამ-ი და ზოგი სხვა მსგავსი აგებულების ტოპონიმი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ -ამ- სუფიქსს ქართულ ენაში კრებითობის ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

ამ სუფიქსს შესაძლოა უკავშირდებოდეს მეგრულში არსებული მქონებლობის სუფიქსი -ამ- (ჩილ-ამ-ი „ცოლიანი“, ფარ-ამ-ი „ფულიანი“, ბადე-ამ-ი „ბადიანი“ და სხვ.)

## მაია ღამბაშიძე, მანანა ჭირაქაძე

### წმიდა მამა იოვანე ჭყონდიდელის პიროვნების შესახებ (თვალსაზრისი)

1. წმინდა იოვანე ჭყონდიდელის შესახებ ცნობები ორი წყაროდან მომდინარეობს: „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ და „ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნიდან“ : ცნობილია, რომ იოვანე ჭყონდიდელი და მის ძმა – პეტრე საიმპერატორო კარზე ვიზიტისას ახლდნენ ბაგრატ IV-ს, ხოლო შემდგომში უფლისწულ მართას, იმპერატორ მიხეილ დუკაზე დაქორწინებისას; იოვანეს მიუღია სვინგელოზის პატივი; იოვანე ჭყონდიდელი და მისი ძმა არიან გიორგი მთაწმინდელის სულიერი შვილები. მათი ინიციატივით დაწერა გიორგი მცირემ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“; იოვანესა და პეტრე პატრიკოსის მოხსენიება დაწესებულია ათონის ივერთა მონასტერში.

2. ეს მონაცემები რამდენიმე ვარაუდის უფლებას იძლევა: იოვანე ჭყონდიდელი და მისი ძმა პეტრე (პეტრიკოფილი) წარმოშობით უმაღლეს არისტოკრატიის წრეს უნდა ეკუთვნოდნენ, რადგანაც: ა) ქართლის სამეფო კარზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ; ბ) იოვანეს ძმა ატარებს მაღალ ბიზანტიურ ტიტულს – პატრიკოსისას, რაც სულ მცირე – ერისთავს (თუ ერისთავთერისთავს არა) უდრის. დ) იოვანე ჭყონდიდელი არის მეფის ნდობით აღჭურვილი პირი, ვისაც დაევალა გიორგი მთაწმინდელის ჩამოყვანა საქართველოში.

3. როდესაც X საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში დაიწყო ცენტრალიზაციისათვის პოლიტიკური ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი, ბიზანტიის იმპერია, თურქ-სელჩუკთა სასულთნო და თბილისის საამირო, ერთმანეთთან პერმანენტული შუღლის პარალელურად, ადევნებდნენ თვალს აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და სათანადო რეაქციასაც არ აყოვნებდნენ. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა ბიზანტიის კარი, რასაც ადასტურებს ბასილი მეორის მიერ ბარდა ფოკას აჯანყების მომხრე ქართველი დიდებულების დასჯა, გადასახლება და ქართული პროვინციების იარაღით წართმევა. შემდგომშიც ბიზანტია ცდას არ აკლებდა სეპარატისტული მიდრეკილებების ხელის შეწყობას. ამის მაგალითია ბაღვაშთა საგვარეულოს ფარული და აშკარა თანადგომა და მათი მემკვიდრეობით ცხუმის საერისთავოს პრობიზანტიური პოლიტიკის გატარება.

4. შუასაუკუნეთა ისტორიაში პოლიტიკური და საეკლესიო საქმეები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ შეუძლებელია მათი გამოცალკევება. ამის ნათელი მაგალითია ბაგრატ IV-ის ნახევარძმის - დემეტრეს მიერ ანაკოფიის ციხის ბიზანტიელებისათვის გადაცემა და ცხუმის ეპარქიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსათვის დაქვემდებარების მცდელობა.

5. ცნობილია, რომ ცენტრალიზაციის პოლიტიკური პროცესი სამხედრო, სოციალურსა და იდეოლოგიურ ასპექტებთან ერთად მოქნილ, მრავალმხრივ გათვლილსა და მოზომილ დიპლომატიურ ნაბიჯებსაც მოითხოვს. XI საუკუნის პირველი ნახევრისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ცხუმის საერისთავოში განვითარებული სეპარატისტული ქმედებების საპასუხო დიპლომატიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ IV-საგან ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება. ამის დასტურია ბაგრატ IV-ს დაკრძალვა ჭყონდიდში.

6. ჩვენი თვალსაზრისით, იოანე ჭყონდიდელი და მისი ძმა პეტრე პატრიკიოსი, ეგრისის ერისთავთა საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდნენ და საქართველოს სამეფო კარზე მათი განსაკუთრებული სტატუსი ცხუმის საერისთავოს პრობიზანტიური კურსის საპირწონე დიპლომატიურ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ.

## იზა ჩანტლაძე

### კვლავ სახელთა აუსლაუტის პრობლემისათვის სვანურ ენაში

ქართველურ ენებში „უძველეს დროს ორი ბრუნვის ნაცვლად ერთი (**წრფელობითი, ე. ო. განუ საზ დ ვრელ ი ნომინატივი**) უნდა ყოფილიყო, მეორე კი (**სახელ ო ბითი, ე. ო. განსაზ დ ვრ უ ლ ი ნო მინატივი**) შემდეგ უნდა განვითარებულიყო“ (აკაკი შანიძე: 1924). „გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში **მურყუამა-ა** („კომკი“), **ფუსნა-ა** („ბატონი“), ძველი ქართული ენისა და ზოგი ცოცხალი კილოს **მამა-ა/დედა-ა**’ს მსგავსად, სხვა საკითხია; **იგი ჩვენ ამჟამად არც გვანტიერებს**“ – განაცხადა ვარლამ თოფურიამ 1926 წლის 28 დეკემბერს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხით დაინ-

ტერესების სურვილი არც ერთ ქართველოლოგს არ გამოუთქვამს არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. მოველოდით, რომ მასზე მსჯელობა იქნებოდა ბაქარ გიგინეიშვილის სტატიაში „ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში“ (1973 წ.), მაგრამ აქაც გაგვიცრუვდა იმედი, რადგანაც ავტორმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ხმოვანთა სიგრძეზე, თუმცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება გვამცნო: **„საფიქრებელია, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის მორფემის ნულოვანი ალომორფით იყვნენ წარმოდგენილნი“**.

ქართულ-ზანურ ენებთან შეპირისპირებისას სვანურში აშკარად თვალში საცემია თანხმოვანფუძიან სახელთა სიჭარბე ხმოვან ფონემაზე დაბოლოებულებთან შედარებით, რაც ამ ენის ერთი სპეციფიკური ტენდენციით (ლიამარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანებად გარდაქმნისაკენ მიდრეკილებით) უნდა აიხსნას. ამასთანავე, **-ა**, **-ე** და **-ო** ბოლოკიდურიანი ლექსემები უფროა გავრცელებული, ვიდრე **-უ**, **-ო** ან **-გ** აუსლაუტიანები.

უმლაუტი – უმთავრესი მორფოფონოლოგიური მოვლენა სვანური ენისა ერთმანეთისაგან მიჯნავს სიტყვათა უუმლაუტო და უმლაუტიან ჯგუფებს, არადა, ყველგან მხოლოდ ერთი (უმლაუტიანთა) ჯგუფი უნდა გვქონოდა, რადგანაც **ისტორიულად**, დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად, ყველა საზოგადო სახელს უსათუოდ უნდა დართოდა სახელობითი ბრუნვის მორფემა **-ე** (არქაული) ან **-ო** (შედარებით გვიანდელი) – ანთროპონიმები ამ მხრივ გამონაკლისს ქმნიან (ზურაბ ჭუმბურიძე: 1964).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში (როგორც ენგურის, ისე კოდორისა და ცხენისწყლის ხეობებში) წრფელობითი ბრუნვა შემოგვრჩა:

1. **-ა** აუსლაუტიან საზოგადო სახელებთან (**დონა** „გოგო“, **კადა** „ნაჯახი“, **ჰეკა** „მაჯა“,...);

2. ისტორიულად **-ა** აუსლაუტიან სახელებთან (**გეზალ** <\***გეზალა** „შვილი“, **ქორ** <\***ქორა** „სახლი“, **ფუსნ/დ** <\***ფუსნ/და** „უფალი, ბატონი, პატრონი“,...);

სახელობითმა ბრუნვამ უპირატესობა მოიპოვა:

1. იმ **-ე**ზე დაბოლოებულ სახელებთან (**მწრე** „კაცი“, **ჟაზე** „სახელი“, **ფხულე** „თითი“,...), რომლებიც ოდესღაც **-ა** აუსლაუტიანები იყვნენ, ამიტომ აქა-იქ დღემდე შემოგვენახა ამოსავალი (წრფელობითის!) ფორმები, ძირითადად, სახელდებათა შემთხვევებში (ზსვ. **ახანახა**, ბზ./ლშხ. **დერა**, ბზ. **ზომხა**, <\***ზა-მახა**, **ათხა**, ბქ. **ლარა**, ლშხ. **მაშენა**, ლნტ. **მანესკერა**,... შდრ. იგივე

ფუძეები სახელობით ბრუნვაში, ისტორიულად -ა ბოლოკიდურიანთა ნაუმლაუტარ ვარიანტებს რომ წარმოადგენენ: **ახანახე, დერე, ზამახე, ათხე, ლარე, მაშენე, მანესკვრე...**).

2. **ჭალა-ა, ზა-ა, მგშა-ა** (ბზ.), **თუე-{ა}** (ზსვ./ლნტ., შდრ. ლშხ. **თო-ა**) და ა. შ. ტიპის სახელებთან;

3. იმ თანხმოვანფუძიან სახელებთან, სადაც დღეს სახელობითის მორფემა აღარსადაა (ორიოდე გადმონაშთის გარდა! – **ა-ორ-ო, სემ-ო**), მაგრამ მისი კვალი აშკარაა ფუძის ბოლო მარცვლისეული უმლაუტის სახით (**თარ** <\*ძვ. ქ. **თხრამლ-ე/ი** „ჩირქი“, **ხამ** <\***ხამ-ე/ი** „ღორი“, შდრ. აჭარ., მესხ.-ჯავახ. **ხალ-ხამ-ი** „მსხვილფეხა საქონლის დროებითი სადგომი“, ჯავახ. **ხამნ-ა** „პირველად მოგებული საქონელი“. **კუეპ** < ქართ. **კოპ-ე/ი** „ღილი“, **თხუიმ** <\***თხუმ-ე/ი** < ქართ. **თხემ-ი**,...).

## თინათინ ჯიქურაშვილი

### ბერძნული წინდებულების ეკვივალენტები *ლევიტელთა* წიგნის ოშკურ ვერსიაში

წინდებულები ბერძნულში საკმაოდ ძლიერ სისტემას ქმნიან. ერთი და იგივე წინდებული შეიძლება სხვადასხვა ბრუნვასთან შეგვხვდეს სხვადასხვა მნიშვნელობით. გარდა ამისა, ისინი მონაწილეობენ სიტყვაწარმოებაში: როგორც ზმნისწინებს, მათ შეუძლიათ ზმნიდან ახალი, განსხვავებული შინაარსის ზმნა აწარმოონ (მაგ.: βαλλω – ვისვრი, μετα-βαλλω – შევცვლი).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ქართველი მთარგმნელები მრავალი პრობლემის წინაშე დგებოდნენ ბერძნული წინდებულების ეკვივალენტების შერჩევასას. ეს პროცესი კარგად გამოჩნდება, თუ თვალს გადავავლებთ ქართულ თარგმანებს, სადაც დავინახავთ მთარგმნელის მცდელობას ზუსტი ქართული შესატყვისი მოუძებნოს ბერძნულ წინდებულს, რათა კონტექსტი ადეკვატურად გადმოსცეს.

მოხსენებაში საუბარი იქნება ბერძნული წინდებულთა სისტემის გადმოტანის შესახებ *ლევიტელთა* წიგნის ოშკურ ვერსიაში. *ლევიტელთა* წიგნი ოშკის ბიბლიამდელ (978 წ.) ხელნაწერებში წარმოდგენილი არაა, ამდენად, საინტერესოა, რა შესატყვისები ეძებნება ბერძნულ წინდებულებს და მთარგმნელის მიერ კონკრეტული წინდებულისათვის შერჩეული ეკვივალენტი რამდენად რეგულარულია მთელი წიგნის ფარგლებში.

## ანა ხარანაული

### ძველი აღთქმის ე.წ. არაკანონიკური წიგნების ტექსტუალური ტიპები და ქართული თარგმანები

ძველი აღთქმის ე.წ. არაკანონიკური (იგივე - დევტეროკანონიკური ან აპოკრიფული წიგნები) ეწოდება წიგნებს, რომლებიც ებრაული ბიბლიის მასორეტულ კანონში არ შედის. ეს წიგნები ჩვენამდე ბერძნულად და ბერძნულიდან შესრულებულ სხვადასხვაენოვან თარგმანშია შემორჩენილი. მათი ჩვენამდე მოღწეული ტექსტები ტექსტუალური ფორმების მრავალფერვნებით გამოირჩევა: ზოგიერთი წიგნი ორი და მეტი ტიპის ტექსტითაა შემორჩენილი.

ორიგინალის მრავალფერვნება ქართული თარგმანებშიც არის ასახული: ისინი ტექსტის სხვადასხვა ტიპს წარმოადგენენ (წინარეცენზიული, ლუკიანური, ე.წ. მესამე ტიპი, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული სხვა წყაროებში). მოხსენებაში რამდენიმე წიგნის (ზარუქი, იერემიას ეპისტოლე, სოლომონის სიბრძნე, ივდითი, ტობი, ეზრა 1) მაგალითზე შევეცდები ეს მრავალფეროვნება ტექსტის ისტორიის ერთიან სურათში მოვათავსო. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ქართული წყაროების მნიშვნელობას განხილული წიგნების ტექსტის ისტორიისათვის - იმ წყაროების გამოვლენისათვის, რომლებიც ქართულმა სხვაზე სრულად შემოინახა.